



საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

მზონჭ „ჭობობ ეს ეჭტეობ?..“



იხ. 89-11 გვ.

„ჩვენ ბევრი გვექონდა თუ ცოტა, შევივრდომეთ, შემოვიხიზნეთ, ვიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით!..“

ილია ჭავჭავაძე.

„ბარუნი მურადიანმა ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დეს ეტიუდ არმენიენში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებ. სომხური წარწერის ორიგინალი კი არ დაბეჭდა, არამედ მისი მეგობრების მიერ გადაღებული სომხური წარწერა — კარგად გამოყვანილი ასოებით გამოაქვეყნა... ამიტომ მეც გამოაქვეყნე წარწერები... შემდეგ ისე იყო, რომ დაინტერესებულმა მეცნიერებმა თქვეს: მეცნიერებაში გაუგონარი ფაქტის ფიქსაცია გაუკეთებია მურადიანს...“

კალისტრატე ხალია. 1990 წელი. ზარიზი.

უსინათლოებმა

რალა დაამავეს?



იხ. 89-4 გვ.

რისთვის ჩასვეს მოსწავლის დედა ციხეში?

იხ. 89-7 გვ.

დღეს ძვეყანაში დაკარგული ტაროსია



იხ. 89-3 გვ.

ახლა მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ხალხს მოუსმინოს.

ცოცხალი უოუს მკვლარი ბებირი

ზბსსმში ალბათ, ჩვენმა ეროვნულმა ყარალმა არსენა ოძელაშვილმა ბადრავს რომ გოგირდის აბანოში (თუმცა მაშინ სხვა რომელი აბანო იყო?) შეყვანა სთხოვა, მეამებო. ისინიც დათანხმდნენ („არსენას ლექსში“ ქრთამი ნახსენები არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბადრავი სწორედ ამის გამო გაისარჯა) და აკი თავიც წააგეს, ბანაობის დროს არსენამ ბორკილები გაქლიბა და მარაბდისკენ შეუბერა, სადაც კარპიზა, დალი ჰასანი და სხვა პატივსაცემი მოქალაქენი ელოდნენ.

იხ. 89-2 გვ.

ალექსი ჯიჯული რუსეთის ანტიანქალ სუბისსოულუი აუქოსუნ



იხ. 89-8 გვ.

ჟიჯული

შირაქილბს გონიერებისკენ უნდა მოვუხმოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ციხეში არ უნდა გავგზავნოთ, თუნდაც ის ციხე მათი აშენებული იყოს. ჩვენებურ პროფესიონალ შერეკილებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე იმდენი დამსახურება კი მიუძღვით, საარჩევნო მარცხის შემდეგ მაინც საშერეკილეთში უფასოდ იმკურნალონ.



იხ. 23-9 გვ.

გიორგი ხაინდრაშა: საქართველო კვლავ ცდილობს ავტონომიებთან მორიგებას

იხ. 89-10 გვ.

რა გვებეგლება, როცა ქვეყანა გატენილია მაწანწალა და მათხოვარი ბავშვებით



იხ. 89-3-5 გვ.

ადამიანი და უფლება

დღეს ქვეყანაში დაკარგული ტაროსია

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. საქართველოში ამ მხრივ ვითარება მძიმეა, ეს პრობლემა წლებია მოგვსდევს...

ქალბატონო ანა, როგორც ვიცით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამ დღესთან დაკავშირებით რამდენიმე ღონისძიებას გეგმავს...

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის, ვაპირებთ გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელებას...

დღევანდელ საქართველოში, როცა მოსამართლეები, ყურანლისტები და უცვლელი არიან, უჭირთ საკუთარი უფლებების დაცვა...

ამ ადამიანებისადმი ადრე უფრო რბილი დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ დღეს ასე ვიტყვი: საკუთარ თავს დააბრალონ...

ლებს ჩვევად აქვთ, რომ მარტო თავის სახლს ალაგებენ და სადარბაზოს არ უვლიან...

მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ადამიანის უფლებებზე საუბრისას საკმაოდ თამამია ხოლმე?

ყველაფერი, ყველაფერი და ამ მიმართულებით ვითარება მართლაც მძიმეა. საერთაშორისო ორგანიზაციებს არაერთხელ გამოუქვეყნებიათ ძალიან ცუდი დასკვნა...

მაშინ, რატომ ატყუებს ხელი-



სუფლება საზოგადოებას, რაში სჭირდება ეს?

ცხადია, უმჯობესია ხალხს სიმართლე უთხრა, მაგრამ ისინი პოლიტიკოსები არიან და ეს, ალბათ, უფრო პოლიტიკური მქა-

ქალბატონო ანა, ერთგვარი შედარება გავაკეთოთ: რევოლუციის შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებმა იმატა თუ იკლო?

გაანჩია სფეროებს. მაგალითად, რელიგიის თავისუფლების მხრივ დღეს ნაკლები პრობლემა გვაქვს. მიტინგებისა და მანიფესტაციების მიმართ ბევრად უფრო მკაცრი და არასწორი მიდგომა აქვს დღევანდელ ხელისუფლებას...

დღეს უკვე შეიმჩნევა მოსახლეობის გამოფხიზლება... სამწუხაროდ, კლიმატი ძალიან დაძაბულია. დღეს მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ხალხს მოუსმინოს.

ესაუბრა ლელა სვადბაიანი

ინფორმაცია

უმაღლესი სასამართლო იმსჯენს

საქართველოს პრეზიდენტის №1016 ბრძანებულებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ზოგიერთი კატეგორიის თანამშრომელი დიპლომატიური თანამდებობის პირებთან გათანაბრდა.

გარდა ამისა, პრეზიდენტის იმავე ბრძანებულებით, უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებთან გათანაბრდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა.

ბიუჯეტს ქვეყნის ახალი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით ადგილობრივი ბიუჯეტებში შეტანილი თანხა, გასულ წელს შეტანილს 1,6 მილიონ ლარით აღემატება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ქსფში-ის სამრეწველო თევზჭერის უფლების მოსამპოვებლად გამართული აუქციონის შედეგად, რომელიც, კლიცენიზებისა და ნებართვების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად ჩატარდა, ცენტრალურ ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 636 520 ლარი შეადგინა.

ინფორმაციის

საკუთარი აზრი

ბოგი ხომბარია: რა გვებეგლება, როცა ქვეყანა გატენილია მაწანწალა და მათხოვარი ბავშვებით

მოსახლეობა, სადაც ვსაუბრობთ, ჩემი ყურადღება თაროზე შემოედებულმა ახალგაზრდა, მომღიმარი მამაკაცის სურათმა მიიქცია. როგორც ბატონმა გოგი ხომბარიამ მითხრა, ეს მამამისი ყოფილა.

რას ერჩოდნენ მეთოდურ ხომბარიას, რკინიგზის ინჟინერს. არც დედის მხარეს უღებდა. მისი ახლობლებიც მეთოდეს გზას გაუყენეს.

ასეთ გარემოში გაზრდილი, ბუნებრივია, ანტისაბჭოთა განწყობილების კაცი ვარ, — მუუბნება ბატონი გოგი. არ მიყვარს, როდესაც დისიდენტად მომიხსენიებენ.

ისტორიის და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში დანიშნული ვიყავი, სადაც დღემდე იღვწის უფროს მეცნიერ-მუშაკად. ლექციებს კითხულობს საზოგადოებას აკადემიაში.

ბატონი გოგი, თქვენ გამსახურდიას მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი პოსტი გეკავიათ — საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანდებოდით. ხელოვნების სპეციალისტი და უცებ ურთულესი დიპლომატიური სამსახური, თქვენ ხომ არავითარი სპეციალური განათლება არ გქონდათ?

მე „მრგვალი მაგიდის“ გამგეობის წევრი ვიყავი და აზრადაც არ მომსვლია მინისტრობა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. მე ზვიადს შევთავაზე, საკადრო პოლიტიკაში ვიქნებო-მეთქი შენი მრჩეველი. ეს ნამდვილად მიხდოდა, რადგან კარგად ვიცნობდი ჩვენს ინტელიგენციას.



საკმაოდ კარგი ბირთვი შეიკრა სამინისტროში. ბევრი წარმატებული ვიზიტი მქონდა. საუბარი არ მიჭირდა, კონფერენციებმა წარმატებულად ჩაიარეს ბონში, ვენაში, ამერიკაში.

დამეხმარა საგარეო პოლიტიკაში. ეს მეხმარებოდა დიპლომატიური მოლაპარაკებების დროსაც.

რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდი, რომ სპეციალური განათლება მაკლდა და როგორც მინისტრს, მინუსებიც მქონდა. ისე კარგად არ ვიცოდი ინგლისური, თარჯიმანი მჭირდებოდა.

უკვე საკმაოდ დროს გაიარა, რათა ობიექტურად შეაფასოთ მაშინდელი სიტუაცია. საერთოდ, თქვენი დროის მთავრობის მიხედვით და შეცდომებზე რას თვლით?

თუ ეს მინუსად ჩათვლება, გარკვეულად ვგრძნობდი, რომ ასე ადვილად არ ჩავლიდა ეს ყველაფერი. მაგრამ იყო რაღაც იდეალისტური დამოკიდებულება, რაც, სამწუხაროდ, დღეს გაქრა.

დიდი შეცდომები იყო საკადრო პოლიტიკაში. ხანდახან თანამდებობებზე ერთგულების ნიშნით ინიშნებოდნენ და არა პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მიხედვით.

ჩვენ დროს ეს გასაგები იყო. ჩვენ მაშინ დავამარცხეთ კომუნისტები, ასე ვთქვათ, საქმე ადგილიდან დავქარით. ახლა კი...

თქვენ მალე ოპოზიციაში აღმოჩნდით. რატომ, რამ განაპირობა თქვენი ასეთი ფერისცვალება?

ოპოზიციაში წასვლის საფუძველი ნამდვილად მქონდა. ჩემი საგარეო ორიენტაცია სუფთა დასავლური იყო. ამ მხრივ, მიუხედავად მხოლოდ 10 თვის მინისტრობისა, იყო გარკვეული წარმატებები. ძირითადად ჩემი მისია იყო დასავლეთით დავგერწმუნებინა, რომ მოსოლიოს დემოკრატიული განვითარებისათვის სჯობდა საბჭოთა კავშირის დაშლა.

იმ დროს ელცინთან ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა, კრემლს წარმოადგენდა გორბაჩოვი, რუსეთს — ელცინი.

ყაზბეგში დაიდო ხელშეკრულება, რომ ჩვენ და ელცინი ავტონომიებს არ შევცებოდით. იგი ინაუგურაციის დროს, საზვასით კარგად დახვდა ზვიადს. ამის შემდეგ, რამდენიმე კვირაში ჩავიდა ომანიძე ალბერტულ თათარისტანში, რამაც ელცინის დიდი გულსწყობა გამოიწვია.

მე შემცვალა ადამიანმა, მურმან ომანიძემ, რომელიც რუსეთში იყო ორიენტირებული, უფრო სწორად — კრემლზე. მაშინ გორბაჩოვი უპირისპირდებოდა ელცინს. იმ დროს

დამატოვებინეს თანამდებობა, როცა უკვე ოფიციალური შესვენებები მქონდა დანიშნული თურქეთსა და ინგლისში. ჩემი პირადი სტუმარი უნდა ყოფილიყო ბუენოსაიკი, სენტორი დე კონსინი — ამერიკის სენატში ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე. ის დამპირდა, რომ სამაჩაბლოს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდებოდა.

ამ ყველაფერმა გამოიწვია ოპოზიციაში ჩემი წასვლა. საგარეო საქმეთა მინისტრად ომანიძის მოსვლა და საერთოდ, საკადრო პოლიტიკა, ზვიადის ხელისუფლების საბედისწერო ნაბიჯები იყო. ჩემს დროს იზოლაცია არ ყოფილა, ომანიძის დროს იზოლაციაში მოვექცა ქვეყანა.

არადა, ჩვენ, აბსოლუტურად სუფთად, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ვიყავით. ამ მიმართულებით საქართველო იყო ერთ-ერთი წამყვანი რესპუბლიკა. კურსი იყო ალბერტული იმაზე, რომ უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირი.

სამწუხაროდ, ოპოზიციამ დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო ომის გაჩაღებაში. არ მიგანჩიანია, რომ არც ხელისუფლების მეტოქე-ნი მოქმედებდნენ მთლად გონივრულად?

დიდი შეცდომა იყო სამხედრო და სამოქალაქო ოპოზიციის გაერთიანება. კონკრეტულად მე არც ხელმძღვანელი ვიყავი, არც იარაღი დამიჭერია ხელში. მიუხედავად ამისა, ჩემს თავს ვაძანაშაულებ. დიდი შეცდომა დავუშვი, უფრო რადიკალურად უნდა გამოვსულიყავი ამის წინააღმდეგ, ომი და დაპირისპირება, შეიძლება, ვერ აგვეცილებინა, მაგრამ მე ჩემი უნდა მეთქვა.

რად იგვიანებს კანონი?

ქალაქის თავი

ჩვენი პარლამენტი თანდათან ემსგავსება იმ ზარმაც, ზანტ მოსწავლეს, რომელიც დაგვიმღვინა ვადაში, ესე იგი, სემესტრში ვერ ასწრებს მასალის ათვისებას და შემდეგ არადადეგების პერიოდს ანდომებს ორიანების გამოსწორებას, საგნების ათვისებას.



როცა წლეულს საგზააფხულო სესია მთავრდებოდა, საკანონმდებლო ორგანო სტახანოვიტის ტემპით იღვწოდა. ბოლო ორიოდ კვირაში მისაღები (თუ მოსამთავრებელი) დარჩათ ოთხმოცზე მეტი კანონი. იმუშავებს „გადარბენის რეჟიმში“, სხაპასუბით მიიღეს ყველა, — ზოგი რიგით, ზოგი კი — რიგგარეშე სესიებზე.

რიგი აირი. რუსეთი მუშტს გვიღებებს, მორჩა თქვენი ბაირამობა, რასაც აქამდე შეღავათიან ფასებში გაძლევიდით, ამიერიდან საბაზრო ფასებში (ლამის ორმაგად) წაიღებთო. თუ ამას კიდევ საბაზო გადასახადიც დაემატა, ჩვენი მოსახლეობა წელში განყდება. ადარდებს ვინმეს ეს?

რატომღაც მეგონა, რომ საგზააფხულო სესიის „ჩაჯარდნას“ პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე მინც გაითვალისწინებდა და კანონების მიღების ვადებში ახლა მაინც ჩაჯდებოდა, მაგრამ... მთავრდება საშემოდგომო სესია, თუმცა ჰაერში ჰქვიდა 140-ზე მეტი კანონის განხილვა. ზოგი კი ისეთი კანონია, ჩვენს ხალხს რომ სულზე წაადგება. ავიღოთ თუნდაც საბაზო კოდექსი. იგი მთავრობას განსახილველად ჯერ კიდევ სექტემბერში შეუტანია. დღეს თურმე მას შემდეგ ეს პროექტი. შიგაც არავინ იხედება. „პაღუმაეში“, რა დაშავდება, მომავალი სესიისთვის გადაინიოსო. არადა, ამ კოდექსის მიუღებლობის შემთხვევაში, ბევრი რომ კიდევ დაშავდება და კიდევ გაშავდება. მაგალითად: ახალი კოდექსით იმპორტის საბაზო გადასახადისგან თავისუფლებდა ელექტროენერგია და ბუნებ-

კრიზისალი


ისევ უბრალო ხალხი იჭყლიტება

პოლიციელი ქრთამზე გააგმოს ბანერალურმა ინსპექციამ ქრთამის ალბის ფაქტზე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გლდანინა-ძალადების სამმართველოს ოცმეთაური, პოლიციის ლეიტენანტი რამაზ მუხიგულაშვილი დააკავა. სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს.

ახლობლის, აბზიანიძის სამსახურში მიღება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. სანაცვლოდ მუხიგულაშვილმა მას ექვსასი დოლარი მოსთხოვა. სწორედ ამ თანხის აღების მომენტში დააკავა იგი პოლიციამ, რომელსაც მანქანაში მას კომოთიქე გადასცემდა.

ბის ტელეფონის წართმევა სცადა. წინააღმდეგობისთვის ოქელაშვილი მან დანიტ ფეხში დაჭრა და „მობილური“ მაინც გაიტაცა. თუმცა დაზარალებულს ამის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია.

რუსთაველი, სოფელ იორმულალოს მცხოვრები თახირ ბაჰმად ოფლი უმუშევრი გაიტაცა. ბოროტმოქმედები გატაცების...



ნაკვეთი

ბუშინ პარლამენტის წინ გაიხსნა უცნობი დეპუტატის ძეგლი. ძეგლზე ასეთი წარწერა: — შენი სახელი უცნობია, რადგან შენ არ იღებდი ქრთამს.

მილიონერების რაოდენობით ჩვენ უკვე გავასწარით იაპონიას, გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთს. სულ მალე დავეწვევით ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს მიუთითებს, რომ ჩვენთან ქურდობა და ქრთამის აღება გაცილებით იოლია, ვიდრე მუშაობა და ოფლის ღვრა.

აქამდე ჩვენს საზღვრებზე კონტრაბანდისტებს საქონელი ჩუმად გადმოჰქონდათ ვირებით. ეს გაუგებს, ამიტომ ახლა გადმოტანა დაიწყეს აქლემებით. გუშინ, მაგალითად, ჩვენმა მეზობლებმა დააკავეს ერთი აქლემი, რომელსაც კუზში აღმოაჩნდა 3 თვის საკვები, 2 თვის წყალი და... 1 თვის ნარკოტიკი.

ბატაკეპულში 5.000 დოლარს იბოძვრენ შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისელი 22 წლის ბაჩუკი ნავერიანი შეიპყრეს. მან, ოთხ თანამზრახველთან ერთად,

ნეტავ...

თუ ჭრდობაა, ჭრდობა იყო

ახლახან აშშ-ს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოაქვეყნა 10 ყველაზე ხმაურიანი დანაშაული, რომელიც მოხდა სელოვნების სფეროში. აქედან მხოლოდ ორია გახსნილი, რვა ისევ საიდუმლოებითაა მოცული.

სკოლის მაგიერ... ციხეში

ინგლისში რვა კვირით ციხეში ჩასვეს 13 წლის მოსწავლის დედა კრისტიან ბეიკერი. მისმა ვაჟმა ერთხელ გააცინა სემესტრის ნახევარი, მეორედ — სემესტრის ორი მესამედი. მშობელს გაფრთხილება ამდენჯერმე მისცეს, მაგრამ იგი რეალურ ყოველთვის ამართლებდა.

დემოკრატია ბი-მალაზიით

მოსკოვის სათათბიროს წინ, გზის გადაღმა, გაიხსნა მალაზია პომოსექსუალებისა და ლესბოსელებისთვის. იქ იყიდება „საგანმანათლებლო“ წიგნები, ჟურნალები, ტრუსები... დღეს ჩვენს ხალხს სჭირდება მეტი ახსნა-განმარტებითი საშუალებებიო, — ამბობენ მალაზიის მუხატრონები. მართლაც, მალაზია დიდიგან სალამომდე გადატენილია.

მისამე ყოველთვის შედეგები

სუთი წელიწადია, რა ვერსიებს ალარ ატრილიებენ ჟურნალისტ გიორგი ღონლაძის მკვლელობის თაობაზე. ამ დღეებში კი ახალი ვარიანტიც წამოიჭრა. თურმე ერთი ქალი მკვლელობის უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელს (ამჟამად პარლამენტის სპიკერს) ვლადიმერ ლიტვინს და გიორგი ღონლაძეს. ეს ყოფილა „უკრაინის კაბა პრავდას“ მთავარი რედაქტორი ალიონა პრიტულა. 2000 წლის 16 სექტემბერს ჟურნალისტი სწორედ მისი ბინიდან გამოსულა და მერე საერთოდ დაკარგულა.

მეცნიერის უბის ნიგნაჰიდან

ახალი ჯიქული რუსეთის ჩატრიანელ სპირიტუალური ანტიკონსტრუქციის

მოსკოვი გავლით საუკუნის 60-70-იან წლებში ეროვნული ბიბლიოთეკასთან გაუვლია, ერთი ფაქტი მიიქცევა... მინდა მკითხველს გავაცნო, რაც ბატონმა ანდრია...

დაინერა შესანიშნავი ნიგნები ქართულ არქეოლოგიაზე, ეთნოგრაფიაზე, პალეოგრაფიაზე, ნუმიზმატიკაზე და საერთოდ ქართველი ერის სახელოვან წარსულზე...



ინტრონიზაციის დროს თითქმის ყველაფერი ჩემს უბის წიგნაკში დანერგვით ჩავინერე...

ბოლო, ერთ ასეთ საყურადღებო ფაქტს გავიხსენებ, რაც კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის ჩემს მოსაზრებას...

შეხვედრა

შინ ყიდის და შინ ყიდულრის?

მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური ლიდერებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების სამშვიდობო დეკლარაციების მიუხედავად, სახელმწიფოები სულ უფრო კარგად შეირალებას ცდილობენ...

ბაზარზე იარაღის მიწოდების კუთხით ჯერ კიდევ უპირობო ლიდერია მას საერთაშორისო ბაზრის ორი-მესამედი უკავია...

ბოლო წლებში იარაღის მომხმარებელთა აქტიურობამ ახლო აღმოსავლეთიდან აზიისაკენ გადაინაცვლა...

ჩინეთს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შევიქნა 10 მილიარდი ამერიკული დოლარის იარაღი შეიძინა...

2004 წელს იარაღის საერთაშორისო ბაზარზე სახელმწიფოებმა მთლიანობაში 37 მილიარდი ამერიკული დოლარის იარაღი შეიძინეს...

რუსეთის პოზიცია პრაქტიკულად მიახლოებულია დასავლეთ ევროპული კონკურენტების მაჩვენებლებს...

ბოლო წლებში იარაღის მომხმარებელთა აქტიურობამ ახლო აღმოსავლეთიდან აზიისაკენ გადაინაცვლა...

2004 წელს იარაღის შესყიდვის კუთხით 10 მონიანვე განვითარებად ქვეყანას შორის აზიიდან ხუთი სახელმწიფო იყო...



ერაყის ომის შემდგომ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში, რომელიც იარაღის მნიშვნელოვანი მიმწოდებელია, იარაღის შესყიდვის ტემპი დაეცა...

რუსეთი ჩინეთის მთავარი მომარაგებელია აშშ-ს კი განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს ახლო აღმოსავლეთის ისეთ ქვეყნებთან, როგორც ეგვიპტე, ისრაელი და საუდი არაბეთი...

თანადოდ არ არის შესწავლილი აზიური ბაზრის შესაძლებლობები გრძელვადიან პერსპექტივაში...

თანამედროვე მსოფლიოში ბოლო თაობის სამხედრო ტექნოლოგიების შესყიდვაზე გაზრდილი მოთხოვნა იარაღის მწარმოებლისთვის იარაღის საერთაშორისო ბაზარზე აქტიურობის წინაპირობას იძლევა...

ცივი ომის დასრულების შემდეგ წლებში ზოგადად მსოფლიოში სამხედრო ხარჯების შემცირების ტენდენციამ საერთაშორისო ბაზარზე იარაღის გაყიდვა...

აშშ იარაღის საერთაშორისო ბაზარზე იარაღის მიწოდების კუთხით ჯერ კიდევ უპირობო ლიდერია...

ბოლო ათი წლის განმავლობაში ინდოეთი განვითარებად ქვეყნებს შორის უპირობო ლიდერი იყო...

თანამედროვე მსოფლიოში ბოლო თაობის სამხედრო ტექნოლოგიების შესყიდვაზე გაზრდილი მოთხოვნა იარაღის მწარმოებლისთვის იარაღის საერთაშორისო ბაზარზე აქტიურობის წინაპირობას იძლევა...



ყოველკვირეული ლიტერატურულ-კულტურული ჩანართი №36

კალისტრატე სალიას ბარათიდან...

„ბარათი მურადიანმა ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დე ვიუდ არმენიენ-ში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებ. სომხური წარწერის ორიგინალი კი არ დაბეჭდა, არამედ მისი მეგობრების მიერ გადაღებული სომხური წარწერა — კარგად გამოყვანილი ასოებით გამოაქვეყნა... ამიტომ მეც გამოაქვეყნე წარწერები... შემდეგ ისე იყო, რომ დაინტერესებულმა მეცნიერებმა თქვეს: მეცნიერებაში გაუგონარი ფაქტები გაუკეთებია მურადიანსო“...

1990 წელი. ზარიზი.



შინსკ „ჭიჭიჭი“ ეს ქვეყანა?..“

„ჩვენ ბევრი გვექონდა თუ ცოტა, შევივრდომეთ, შემოვიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებთ!“

ილია ჭავჭავაძე.

ის რომ ქართული დამწერლობა, თბილისის თუ შოთა რუსთაველი სომხეთა ერს ეკუთვნის, არაერთგზის გვსმენია მათგან... ქართული ეკლესიების სომხურობაც „ძველი სიმღერა“... იმის დამატებით, რომ „ბარბაროსი ქართველები“ თურმე სომხურ წარწერებს ვანადგურებთ და ზემოდან ქართულს ვანერთ...

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში ამათ არც აციეს და არც აცხელეს და ტაო-კლარჯეთი და მისი ხუროთმოძღვრება სომხურად გამოაცხადეს. მერე იცით, ვის დაანერინეს ეს გალიმათია? რუს ტოკარსკის. ესეც მათი ძველი, ნაცადი ხერხია.

ეკლესიები, აფხაზეთისა და აჭარის სომხური ეკლესიები აშენებულია XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში... 1837 წელს საქართველოში იყო აღრიცხული 198 სომხური ეკლესია... წერილობითი წყაროების მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოიკვვა, რომ საქართველოში არის 650 სომხური ეკლესია (არ არის გამოიკვლილი ზოგიერთი მათგანი გამოგონების). სომხური ეკლესიები განლაგებული არიან აღნიშნულ რაიონებში“.

თემურ ლენგის მიერ რვაგზის აოხრებულ ქვეყანას, დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას საკამო ხანი დასჭირდა. ამ საქმეს განსაკუთრებით ენერგიულად ეწეოდა ალექსანდრე მეფე (1412-1442). მის სახელთან არის დაკავშირებული თემურ-ლენგის მიერ დანგრეული სვეტიცხოვლის „კუალად აღშენება“. რუსის ეკლესიის დასავლეთ კარიბჭეზე გაკეთებული მხედრული წარწერა გვამცნობს „ზე ადიდენ ღმერთან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლის მიერ კვალად აღშენდა საყდარი ესე“ და სხვა.

ქართული წყაროების მიხედვით, ბეთლემის დაარსება დაკავშირებულია მეფე ვახტანგ გორგასალის სახელთან. ასევე მის სახელთანაა დაკავშირებული სიონის, მეტეხის წმ. ჯვრის, გოლგოთის, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიების აშენება... პლატონ იოსელიანი წერს: „ბეთლემის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სომხებმა სახელი შეუცვალეს და ფეთხაიმი დაარქვესო“. იქვე პლატონ იოსელიანი გაოცებული კითხულობს: „გაურკვეველია, რა მიზეზით დაპატრონებინა მას სომხები?“



არ შეიძლება ერთ ამგვარ თანამედროვე მკვლევარზე ორიოდე სიტყვა მაინც არ ითქვას. ეს გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პ. მურადიანი. ჯერ იყო და „ის“ზე დაბოლოებული ყველა ქართული გეოგრაფიული სახელი და ტოპონიმი გაასომხურა. ეს „აღმოჩენა“ რომ არ დაუჯერეს, მერე მცხეთის ჯვრის ტაძარს შეუტია და ერთი კორიანტილი დააყენა — სომეხი რომელია და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ქართულმა მეცნიერებმა (აკად. ვ. ბერიძემ, აკად. მ. ლორთქიფანიძემ, აკად. ილ. აბულაძემ და სხვ.) საკადრისი პასუხი გასცეს.

ბატონი ბ. არველაძე დეტალურად განიხილავს სომხ მეცნიერთა დასახელებულ ყველა ეკლესიას. მოჰყავს სათანადო წყაროები, არგუმენტები, აზუსტებს ტოპონიმებს და სხვადასხვა მკვლევართა დასკვნებს ერთმანეთთან ადარებს...

„შემდეგი „სომხური“ ეკლესია თბილისის ბეთლემი „რუკა-ცნობარში“ ასეა განმარტებული — „ბეთლემი“ — წმ. მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია, სომხების მიერ აშენდა 1500 წ. ... გაქართულდა 1990-1991 წ.წ.“ გაზომის ბეთლემის ეკლესია თავიდან სომხური ყოფილა და უკანასკნელ ხანებში მიუთვისებიათ ქართველებს... თუმცა, მივყვით ამ ეკლესიის ისტორიას. გადავხედოთ სომხურ მხარეს და ვეძებთ სიმართლეს. გალანანელის მსგავსად ს. კარაპეტინი ბეთლემის აშენების თარიღად ასახელებს 1500 წელს.

ეს კითხვა აწუხებს ქართველ ხალხსაც და კონკრეტული პასუხი ვერ მიუღია. ქართველი ერის და ეკლესიების თავზე დამტყდარი ეს უბედურება ისტორიულმა მიზეზებმა განაპირობა. პერმანენტული შემოტევებისაგან გაპარტახებული ქართული ეკლესია-მონასტრებს უცერემონიოდ დაეუფლნენ ლტოლვილი თუ ჩამოსახლებული სომხები...“

ჯერ კიდევ 1995 წელს, ერევანში, სომხურ ენაზე გამოვიდა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“, რის მიხედვითაც, საქართველოში 650 სომხური ეკლესიაა. მაშინ ამ ყველაფერს მეცნიერმა ბონდო არველაძემ თავისი ნაშრომით არგუმენტირებულად უპასუხა. როგორც ჩანს, რა თქვას პასუხის პასუხად სომხ საზოგადოებას ჯერ ბოლომდე არ გაუცნობიერებია და ისევ იგივეს და ჯიუტად ამტკიცებს... ბ-ნ ბონდო არველაძეს ნამდვილი პათოსი კი ისევე უპასუხობდაა დარჩენილი: „ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ვითომ წმინდა მეცნიერული ინტერესებით გამსჭვალული, კალამშემართული, გაავებული გვიტყვს და ძირძველ ქართულ მინებს გვედევნება. ამ ჯიშის სომეხ მეცნიერთა ეს უკადრისი საქციელი არ ახალია „ქველია“, მაგრამ მათ მეცნიერულ „შემოქმედებაზე“ თვალის დახუჭვა წინაპართა წმინდა ხსოვნის დავინწყების ტოლფასია. ეს კი არავის არ ევატიება, მით უმეტეს შვილებს...“

დავიწყოთ სომხური რუკა-ცნობარის ანოტაციით: „საქართველოში ცოტაა რაიონები, სადაც სომხური ეკლესიები არ არის. განსაკუთრებით მრავალია და ფართოდაა წარმოდგენილი სომხური ეკლესიები ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, გუგარქის რეგიონის ჩრდილო მხარეში. ესენია ნობოფორ, ბონნოფორ, თრელი და ჯავახქის რაიონები. ამჟამად მათ შეესატყვისება მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრი-წყარო, ნალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ასპინძის რაიონები. სომხური ეკლესიები არ არის მცირე საქართველოს ისტორიულ ქართლსა და კახეთის რაიონებში. აქ სომხები ძველი დროიდან მკვიდრობდნენ. ამიტომ ამ რაიონებში სომხური ეკლესიები ადრეულ საუკუნეებშია აშენებული, (XII-XIV საუკუნეებში). უფრო გვიანდელი დასავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელო-კოლხეთის სომხური



თბილისი და მისი შემოგარენი არ იქნებოდა დაზღვეული მტარვალის ხელისგან. ვინც მტრის მახვილს გადაურჩა, თავი ალბათ მთებს შეაფარა. რა თქმა უნდა, ბეთლემის ქართული ქტიტორული წარწერები ლენგ-თემურის ურდოების ბარბაროსობას შეეწირა და სამუდამოდ დაიკარგა. მოხდა ის ტიპიური მოვლენა, რაც ასეთი უბედურების შემდეგ ხდებოდა. შეუპოვარი ქართველი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა სამშობლოს და მტერს შეაწყდა... ქართული ბეთლემი თუ მურადიანის დამონებულ შიშტაკარენს დაუჯერებთ, სომხების ხელში აღმოჩნდა...“

მეცნიერული ნაშრომი რამდენიმე ენაზე მთლიანად უნდა ითარგმნოს, ვინაიდან სომხეთა გაყალბებულ „ეკლესიებს“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნააწყდები, როგორც ერთადერთი და უალტერნატივო აზრს. საქართველოს პატრიარქმა ქართველ მეცნიერებსაც საპასუხო მეცნიერული არგუმენტების გამოქვეყნებისკენ მიუწოდო. აქვე ქართული „ბედოვლათობა“ უნდა ვახსენოთ, რისი ერთ-ერთი მაგალითი ბატონ ბონდო არველაძის ნაშრომშიცაა მოყვანილი: „1885 წლამდე არსებული საქართველოს სომხური ეპარქიის სინოდური ჩანაწერები დაცული იყო საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში. 1965 წელს საქართველოს საარქივო სამმართველოს უნიტო ხელმძღვანელობამ იგი სომხეთის სახელმწიფო არქივს გადასცა. ეს მარტო კანონის დარღვევა კი არა, ეროვნული დანაშაულიც იყო. მათი უიცილობის გამო, არ მინდა მათ საქციელში ანგარება დავინახო... ამ წერილზე მუშაობისას არაერთგზის დამჭირდა შემომწმინდა ბ-ნ კარაპეტინის, ბ-ნ მურადიანის და სხვათა მიერ დასახელებული საქართველოს სომხური ეპარქიის სინოდალური ჩანაწერები და მათი მეცნიერული სანდოობა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ვერ შევძელი...“



ძალი ღიქრები

„მარად ქართული და რუტინული“

„ამ ახალი წლის დამდევს ეს ფიქრი მადის ძალა-უნებურად, რომ ვეველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცდებანი... რაც არ უნდა უფერული და უიმედო ეოფაში იყოს ადამიანი, ახალ წელს მაინც იმედით ვეგებება, როგორც კარგის მომასწავლებელს... კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისის...“

საბრალოა ქვეყანა, საწყალია ის ვრი, რომელსაც დაუკარგავს იმედი მომავალი დღისა, თამამად ვიტყვი: რაც არ უნდა დაბეჭდვებული იყოს ვრი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელოდეს და არ გადაუწყვეტია იმედი, ის ვრი არც დაიდუმება, არც მოკვდება... სასწაურად ვარაუდობს რომ იყოს, შესცვლის და გაიმარჯვებს კიდევ...
ვაჟა-ფშაველა.

მამი ფიქრს სამშობლოზე, თანამდევნი შიში ახლდა — უსამშობლოდ დარჩენის.

სამშობლო ეროვნული თავმოყვარეობაა, ის შემოსაზღვრული ტერიტორიაა არის და იმპერიითა აგონიების დროს სხვათა საზღვრებიც ნანგრევებში ექცევა. სამშობლო — კონკრეტულ სივრცეში წარსულისა და აწმყოს ერთიანობაა... მათი ფიქრებიც საქართველოს წარსულსა და აწმყოზე ფიქრი იყო...

ჩვენ წინ ორი სხვადასხვა ბედისწერის პიროვნების წერილებია. ალბათ უბრალო დამთხვევა არ არის, რომ ორივეს ზუსტად ერთნაირი სათაური შეურჩევია — „ფიქრები საქართველოზე“... მათ ბედისწერაშიც ვიპოვით მსგავსებას...

ამ წერილების დანერის დროს ერთ-ერთი უცხოეთიდან ბრუნდებოდა სამშობლოში და სტამბულის გემზე იდგა ჩაფიქრებული, ხოლო მეორე უკვე პატიმარი, სუზდალის ციხეში იხდიდა სასჯელს... ტკივილიანი იყო მათი ფიქრები საქართველოზე...

„ეს ფიქრებია თქვენსა და საქართველოზე“...

1922 წლის 20 აგვისტოს სტამბოლის რომელიღაც პორტიდან ევროპიდან ჩამოსული ახალგაზრდა მწერალი ნიკოლოზ მინიშვილი მეგობრებს უგზავნიდა წერილს — თავის აფორიაქებულ ფიქრებს საქართველოზე და ის მყისიერ გაგებას და თანადგომას ელოდა... სწამდა, რომ მისი მე-

გობრებისთვისაც სამშობლოს განცდა ანალოგიურად მტკივნეული და პირადული იყო...

„ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია სტამბოლში და შემდეგ არ ვიცი, როდის შევძლებ რამის მოწერას. ეს სამი თვე, რომელიც დავყავი ამ გარყვნილ ქალაქში, გავატარე მარტო კითხვასა და თქვენზე ფიქრში... სიხარული, როგორც ამას დაინახავთ, აქ აღარაა, მაგრამ ფიქრები თქვენზე და საქართველოზე — არის... და ეს მინდა თქვენ დაგიბაროთ.“

ესლა, როცა, მე ასე თუ ისე, შევადგინე ერთგვარი წარმოდგენა უცხოეთის ლიტერატურაზე, ვეკითხები ჩემს თავს: ჩამოვრჩით თუ არა ჩვენ პოეზიას? უსათუოდ ერთი პასუხი მაქვს: არა, არ ჩამოვრჩენილვართ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლები დახურულ ყუთში ვზივართ...

ევროპის ხელოვნება და პოეზია, როგორც ხედივით სანახაობა, როგორც ნაუკითხავი წიგნი, უნახავი გამოფენა ან მოუსმენელი მუსიკა, მიდიოდა შორს ჩვენგან... მაგრამ ის მარადიული სინათლე, რომლითაც ანათებს ხელოვნება ყოველ დროს, და ის შეუსხლეტელი სისხლი, რომელიც საუკუნეებით სჩქეფს ყველა პოეტის ძარღვებში, ვგონებ გადმოსულია ჩვენშიც. ეს გრძნობა და თვისება გვაერთიანებს ჩვენ უცხოეთთან და, ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე არ ვიგრძენი თავი ჩამორჩენილად...“

ევროპის და ამერიკის გზებზე არც ერთ ქართველს არ გასჩენია ეროვნული არასრულფასოვნების

კომპლექსი. ისინი, უბრალოდ, სოციალურად დაბეჭდვებული, მოუწყობელი და პარტოკრატიის დემაგოგიას გამოქცეული ადამიანები იყვნენ...

„შეიძლება ჩვენში ზოგიერთი უპირატესობანიც კი ვიპოვოთ“, — წერს ნიკოლოზ მინიშვილი.

ადამიანთა თვისება, რომ გულმოდგინებით ეძებონ ის, რაც უკვე დიდი ხანია ნაპოვნია, არ გამოირცხავს კიდევ ერთ რეალობას: ძიებების, თუნდაც ფუჭი, უშედეგო, მტკივნეული ძიებების აუცილებლობას, რადგან საბოლოოდ მხოლოდ ისინი გვარწმუნებენ ყველაზე მთავარში...“

„...მე მემინია ამაზე ფიქრი... კი, ბატონო, ჩვენ ვიყვით დეგენერატები. დეე, საქართველო არ გვიყვარდეს. დეე, ჩვენ გაგვიყოს საქართველო და ეთავყვანოს, თუნდაც რწყილს... კი, მაგრამ სხვები სადაა? სხვებს რაღა დაემართათ? რომ არც სხვა ჩანს?... ჩვენ ოცნებებს საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ გული და სიყვარული... არის სურვილი, მაგრამ არ არის რეალობა... ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანათებს... მაგრამ როგორც ვთქვი, ის ვერც სხვამ ნახა და თუ მარტო ჩოხა-

ახალუხია საქართველო, უტივით მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, ნყალში გადავვარდეთ!!“

„ამიბრასია თაჲსთაჲდ სუდი აჲადჲყოფოჲაა“...

მხოლოდ ნაციონალური ტანსაცმლით გამოხატული ეროვნულობა ეთნოგრაფიულ სანახაობად აქცევდა საქართველოს საერთაშორისო ბაზრებზე. ეროვნული მოძრაობა, ანუ ერთი ქვეყნის მეორისგან გამოყოფის ემოციური და ამავე დროს სრულიად არგუმენტირებული სურვილი, დოლ-გარმონის გამაყრუებელ ხმაში იკარგებოდა და ერთვოდა საბჭოთა ხალხების განურჩევლობის ზღვას.

„დაიხ, ეს წერილია თქვენზე და საქართველოზე... ემიგრაცია თაჲსთაჲდ ცუდი აჲადჲყოფოჲაა და ქართულ ემიგრაციასაც რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებთ, ცხადია... მაგრამ მე ვიცი ხალხი, რომლებიც აქაურობაში მინასთან ასწორებს ქართველ ბოლშევიკებს და საქართველოში იმავე ბოლშევიკებს უძკრებიან“

უკანა კარებიდან... და ყოველ შემთხვევაში, რომელიმე რესტორანში მენშევიკებსა და ნაცდემოკრატებთან მაინც მოინმენდნენ-ხოლმე კეთილშობილურ ცრემლს...

თქვენ იცით ბევრი ქართველი, რომელიც ტკბილად ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას, „შერიგებით და მორიგებით“ არ იკლებს არაფერს, მაგრამ დღიური წესრიგის ამოსაწურავად, ყოველ შემთხვევისთვის მაინც გააჩერებს „თუ რა ისმის“ და დამშვიდებულ სინდისით წავა შინისაკენ.

ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო და თუ ჩვენში ესლაც ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ ხანით უნდა წავიდეს, დეე, ღმერთმა ხელი მოუშალოთ. მე ამ გზით ვერ წავალ...“.

მიუგნებალი საგოგლო

დროთა განმავლობაში გახდა თუ არა უფრო კომპრომისული ქართველების „ფიქრი საქართველოზე“? ან იქნებ მათაც გაგვიჩნდა სურვილი არა მხოლოდ იბრძოლონ, არამედ ისეთივე დაცულნი იყვნენ მათივე ქვეყანაში, როგორც სხვაგან ფრანგი, გერმანელი თუ ამერიკელი... იქნებ ჩვენც გვინდა



სოხური თაჲს აარაღლურად „ამას ამბობს საიათნოვა“...

ამ ფოტოში საიათნოვას საფლავია... ზაფხულში გადავიღეთ, ძველი თბილისის ქუჩებში ხეტილის დროს... მოკრძალებით ვიდექით საფლავის ქვასთან, როცა უბნის სომეხი მოსახლეობა მოგვიახლოვდა: მოხუცები, დედები ხელში ატატებული ჩვილებით... ღარიბები, ჩაუცმელები, მაგრამ მაინც ხალისიანები...

— თქვენც გიყვართ საიათნოვა? — გვკითხეს. მოგვეფერნენ... — თქვენი და ჩვენი საიათნოვაო!... განსაკუთრებული სითბო და სიყვარული ჩააქსოვეს ამ სიტყვებში. მერე ბავშვებიც შემოგვეხვივნენ... „ჩვენი და თქვენი საიათნოვა“... მართლაც, ამაზე მეტი რა არის პოეტის უკვდავება?

obyfgfhsf cofdkt, fyb

ვაგრძელებთ ვახტანგ VI-ის აფორიზმებისა და გამოთქმების ბეჭდვას, რომელიც შეადგინა და ანბანის მიხედვით დააღაგა მეკლეეარმა ბორის დარჩიამ.

ვარდს ვერ დაჭკრეფს ეკლის მრგველი... ვაქებ სიაჲის მორცხესა და სიკეთის ურცხვენელებსა. ვით იქნება ორი ნესვი ერთის ხელით დანამჭირი. ვინ სიძარტლითა მშერობლობდეს, მას წინ ნუ აღუდგებია. ვინცა მახეს სდგამს სხვა ჭირად, თვით გაეზმის უწინარე. ვინცა რა ქნა ამ სოფელსა, მიხვედრა მისი წილი. ვინც იხარებდეს სხვის ავზე, იმას მიენდოს სხვა ვინა?! ვინც მოწაფედ არ ეოფილა, ის მოძღვარი არ იქნების. ვინც უფრო არის მდიდარი, უფროა ჯავრით მწუხარი. ვინაც უნდა ზამთარ ღსინი, საფხულს უნდა გაისარჯოს.

ზოგს სირცხვილად მიაჩნია სიერმეს უკან კითხვა სწავლა, მაგრამ ბრძენთა სახელად სჩანთ სიკვდილამდი მამიკ წაუღა.

საქონის ვეჯობა

ფიქრისთვის იგი დამნაშავეა...

გალაკტიონი



დამფუძნებელი კრების სხდომა, 1918 წელი. ლოჯაში მთავრობის წევრები სხედან. მათ შორის, გრიგოლ ლორთქიფანიძე და ნოე ჟორდანიას.

„საზრდოობა სამშობლოსგან“ და არა მხოლოდ პატრიოტული შეძახილები და მუდმივი ცქერა იმისა, როგორ ყველგან ქვეყანას ადგილობრივი აბორიგენები!...

„ამ სახით ევროპაში ეს საკითხი არ დაისმის — აგრძელებს წერილს ნიკოლოზ მინიშვილი — სამშობლოში (არა მარტო ზოლოტიანი ცნებებსა და ეთნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერჯია, ის სხვადასხვაობა, რაც ბადებს დიდ შემოქმედებას. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერო, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას. სწორედ აქ მეექვსედა მე საქართველო... მე ამას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მემინია: ნუთუ, საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?...

ვიბნევი და მემინია ასეთი კითხვების. მან უხეხებს ეს აქ ისე, როგორც არასოდეს და ისევე ჩემი სიმტკიცე და გული... მე არ მინდა უარყო საქართველო წარსულში და მომავალში, მაგრამ... საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია...

დროა გავათავო წერილი! ჩვენი გემი, რომელშიც მე ვცხოვრობ, დგას „ოქროს რქაზე“. ღამეა და უკვე მესამედ ყვირს თათრის მამალი ნაპირთან... მეც დავიკლალე... სტამბული ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიროდნენ ქართველები... ეს წყლები „ბაბილონის მიდინარეობა“ და იქნება ოდესმე ქართველი პოეტის დასტიროდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე... იქნებ ისიც ეძებდა საკუთარ ვარსკვლავს ამ მიწარეთების წვეტიან თავებში და ეს მთვარიანი მიწარეთები მასაც უფარავდნენ სამშობლოს სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი!...

ფიქრების დასასრული

შეადგომო მოხდა ის, რასაც ვერაფრით გაითვალისწინებდა სტამბოლის მიწარეთებიან მდგარი ნიკოლოზ მინიშვილი... საქართველოში, იდეოლოგიურ დაწესებულებებში სტუმრობის შემდეგ ის აიძულეს, საჯაროდ შეეცვალა თავისი პოზიცია (ამ „დაწესებულებათა“ ძალმოსილება ყველასთვის ცნობილია!) — და მან თქვა: „ასეთი ფიქრები გადალა-

ხულნი იქნებიან იმ მთლიანი აზროვნების ძალით, რომელიც ქმნის დღევანდელ საბჭოთა საქართველოს და რომელიც დღითი დღე აკავშრებს ფართო ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო მიზნებთან“...

ამ გარეგნულმა მეტამორფოზმაც ვერ უშველა. „მათ“ მუდამ ახლოვდათ მისი ნამდვილი, ტკივილიანი „ფიქრები საქართველოზე“...

საქალაქე №187. ნიკოლოზ მინიშვილის საქმე: „დანაშაული ედება იმაში, რომ იყო ფაშისტურ-ნაციონალური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას უცხო ერის დაზვერვასთან ერთად. მხილებულია მონაშენების მიერ (ჩამოთვლილია მონაშენთა გვარები). მან თავი დამნაშავედ ცნო. საქმე გადაეცეს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას“.

დოკუმენტების მიხედვით, ჯერ მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა, მერე სასამართლო. გამოცხადდა განაჩენი. აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა წინაშე ბრალდებულს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს.

დაბოლოს, პატარა ცნობა: „სრულიად საიდუმლოდ. ნიკოლოზ მინიშვილის დახვრეტის განაჩენი სისრულეშია მოყვანილი ქ. თბილისში, 1937 წელს. განაჩენის მოყვანის აქტი ინახება I სპეც. განყოფილების არქივში ტ. 8ფ. 315“.

„ღირს კი ეს საბანი ამაღნ ფიქრად?“

რუსეთი. ქ. სუზდალი. ვლადიმირის გუბერნიის საგანგებო ბანკის სამონასტრო სამყრობილე. საკანი №13. თებერვლის 11, დღე, 1924 წელი.

ამ წერილს ხელს აწერს, 1918 წელს დამოუკიდებლობამიღებულ დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრი, რუსეთის ოკუპაციის შემდგომ დაპატიმრებული გრიგოლ ლორთქიფანიძე. ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.

ფიქრები საქართველოზე: ვფიქრობ საქართველოზე და თან დროგამოშებით იჭვი მღრღნის, გულს მიდაღვს და სულს მისერავს... იჭვი იმის შესახებ, ვითუ სიტყვა, ის სახელი, რომელზედაც აგერ სამი წელია ტყვეობაში ვფიქრობ, იქნებ უსაგნო სიტყვაა. იქნებ რამდენიმე ქართული ასოს შეერთებული ბგერა, ბგერა მოკლებული რეალურ შინაარსს, სიტყვა და სახელწოდება იმ საგნისა და მოვლენის, რომელიც მხოლოდ იყო და აღარ არის, მხოლოდ წარსულის აჩრდილია... უკვე ჩასვენებული ისტორიის მზის მიერ ხანმოკლედ დატოვებული ჩრდილია, რომელიც მალე გაქრება და, რომელსაც მომავალი არ აქვს?... ანდა წარსულის იჭვი, იჭვი იმის შესახებ, თუ გინდა ამ ჩემი ფიქრების საგანი წარსულის ლანდი არ არის, ის უდაო რეალობაა, მაგრამ ღირს თუ არა ეს საგანი ამდენ ფიქრად?...

მაგრამ ჩემს ეჭვს დასცინის, ხოლო გულს ამხნევეს ის ძველი... ჟანგ და ხავსმოდებული ქართული წიგნი, რომელსაც, აი, ესაა მიკითხავდა ჩემი ახალგაზრდა მეგობარი და თანატყვე, წიგნი, რომელიც დაინერა ქორონიკოსა წლისასა 1745, მოსკოვს, პრესნას, წიგნი ვახუშტი ბაგრატიონისა — მატთანე საქართველოსა... რომლის ავტორი, ასაფლავია მოსკოვს, დონის მონასტერში და რომლის უკვდავი ნაწარმოები აგერ ძვეს ჩემს მაგიდაზე, ქ. სუზდალის საპატიმრო საკანში...
ჰო, დიას, მე მწამს, კიდევ მეტი — მტკიცედ ვიცი, რომ ის კოლექტიური პიროვნებაა, რომლის წარსული ცხოვრების აღწერას წარმოადგენს ეს წიგნი, რომ ეს პიროვნება, ეს ისტორიული მოვლენა, რომელსაც ქართველი ერი ეწოდებდა, არის არა მარტო წარსული, არამედ აწმყო და მომავალიც... დიას, ეს ასეა და არა იმიტომ, რომ მე ან სხვას ვიმეს უნდა, ან არ უნდა ეს. არა, სრულიადაც არა. ეს მოვლენა ისტორიულად მოცემულია.

ისტორიულმა დინებამ... ბოლოს კავკასიონის ქედისა და შავი ზღვის მიერ გახაზულ სამეფოებში შერევა

მისი ნაშთები. აი, დედამიწის ეს ნაკვეთი შეიქმნა მისი უკანასკნელი ბინა და ეროვნული ეზო-გარემო. ეს შეიქმნა მისი უკანასკნელი გამაგრებული ბანაკი უკანასკნელ საუკუნეებში. აქაც ყოველმხრივ შეაკვეცეს მას ფრთები და გვერდები, ჩამოგლიჯეს მისი საუკეთესო მინაწყალი, საუკუნეთა განმავლობაში გველვდნენ მის ცოცხალ ორგანიზმს. მისი დიდი ნაწილი ცეცხლითა და მახვილით გადაარჯულა და გადაავგვარა სხვადასხვა ჯურის დამპყრობელმა, მაგრამ ის მინც გადაარჩა, როგორც საკუთარი სხეულისა და სახის მატარებელი ხალხი.

მრავალი ძლიერი დამპყრობი ტომები გაქრნენ დედამიწის პირისგან. აღარაა სახსენებელი ბევრი ისეთი გოლიათი ხალხებისა, რომელნიც იპყრობდნენ, ანადგურებდნენ და აცამტკერებდნენ ქართველთა ტომებს. არაერთს დამპყრობელს ჩაუნერია თავის მატთანეში, რომ მან მოსრა და აღგავა პირისაგან ქვეყნისა ქართველთა ტომები, მაგრამ ამ არა ერთხელ მოკლული ხალხის წყურვილი და ნებისყოფა სიცოცხლისადმი ისეთი ძლიერი გამოდგა, ისეთი ჯიუტი შეიქმნა, რომ მისი სხეულის ესა თუ ის ნაწილი მაინც მთელს სახეს ღებულა და მის სახელს ატარებდა და ანვითარებდა. მრავალჯერ მოკლული ქართველი ხალხი, ვით ზღაპრული ჩიტი ფასკუნჯი, თავის ნამწვავ ნაცრიდან იბადებოდა და ღორძინდებოდა იმ დროს, როდესაც მრავალი მისი მკვლეელი ბუმბერაზი ჯალათები ისტორიულად მინდებოდა და ქრებოდა...

ასეა, თუ ისე, ქართველ ხალხს უამრავ უბედურებასთან ერთად წილად ხვდა ისეთი რამ, რაც მთელ მსოფლიოში ხვედრია კიდევ მხოლოდ რამდენიმე ხალხისა. სახელდობრ, მან ავადა თუ კარგად, ხან სიცოცხლითა და ჯანლონით სავსემ, ხან სუსტმა და მომაკვდავმა, ხან თავისუფალმა და ხან მონამ, მაგრამ მაინც გაძლო დღემდე; ბევრი არ ჰყავს ბადალი და ტოლი მის ჭალარა ისტორიას!...

სულს შემპყრელი და მძიმე ეს სცენა: სადღაც სამშობლოდან შორს, სუზდალის ციხეში, რუსული ზამთრის თებერვლის სუსხიან ღამეს, ორ ქართველს, — დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრს გრიგოლ ლორთქიფანიძეს და პოეტ ლეო რუხაძეს მუხლებზე ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს მატთანე უდევთ და ფიქრობენ საქართველოზე.

იმედი, რომელიც ამ საკანშიც აღწევს, მხოლოდ უსაბუთო რწმენაა, რომ საქართველო გადარჩება... ამ სულსკვეთებით ინერება სხვა წერილებიც, მთელი წიგნი... ინერება „პოლიტიკური ანდერძიც“ და ანდერძი ოჯახისა და მეგობრებისადმი... არავინ იცის რა მოხდა მერე... გრიგოლ ლორთქიფანიძე 1936-37 წლებში უგზოუკვლოდ დაკარგულთა შორის აღმოჩნდა... ანუ არავინ იცის როგორ დასრულდა მისი ფიქრები საქართველოზე...

ინფო სოფირია



ქართული აღბობი

„შნდა შევიძინო მეგობრები“... — ჩაუწერია უბის წიგნაკში XX საუკუნის ვეჯალა დიდ მარტოსულს — გალაკტიონ ტაბიძეს.

ამ მშვენიერ ახალგაზრდებს შორის, ვისთანაც როგორც ჩანს, დამეგობრებას აზიებდა, არც ერთი არ შემოჩნა ზოეტის ბიოგრაფიას.


ფოტოზე აღბეჭდილი, მარცხნიდან მეორე გალაკტიონ ტაბიძეა, მარჯვნიდან პირველი დურტუ გვარამია... სხვების ვინაობას ვერ მივაგანიებ.

ისინი, როგორც ჩანს, სულ მცირე ხნით აღმოჩნდნენ გალაკტიონის გვერდით და მერე ვეჯალ თავის გზაზე წავიდა...

დასახლების და დამეგობრების მცდელობანი ბევრი ჰქონია გალაკტიონ ტაბიძეს... მაგრამ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცხოვრებაა შხაა ბანშორება-ღაფშორება...“



ომარ ხაიამი - ვარსკვლავთმხრობის და პოეტი



ორი ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან

ომარ ხაიამი — მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც მას არ იცნობდნენ და მისი რობაიები თარგმნილი არ იყოს. და ეს განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ღვინის გემო იცინა!

